საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ზაგემის განძი

Image not found or type unknown

ზაგემის განძი, 1. XVII ს. დასაწყისის ირანული ვერცხლის მონეტების განძი, აღმოჩენილი 1969 თიხის ხელადაში ზაგემის ნაქალაქარზე, სოფ. ალიაბადიდან (ზაქათალის რ-ნი, აზერბაიჯანი) 7 კმ-ზე. შეიცავს 195 მონეტას (168 აბაზიანი, 22 ორშაურიანი, 5 შაურიანი), რ-ებიც მოჭრილია ირანის შაჰის აბას I-ის სახელით სხვადასხვა ზარაფხანაში (არდებილი, განჯა, დაურაყი, ერევანი, თავრიზი, თეირანი, ორდუ, რამჰორმზი, რეშთი, შუსთარი, ჰოვეიზა); ხოლო 2 მონეტა თბილისშია მოჭრილი, 7 კი – კახეთის ქ. ზაგემის ზარაფხანაში. განძის ყველაზე ადრეული მონეტა თარიღდება 1602, უგვიანესი – 1615. ზ. გ. დაფლული უნდა იყოს 1616 აბას I-ის მიერ კახეთის აოხრების დროს, ქ. ზაგემის განადგურებისას. განძი დაცულია საქართვ. ეროვნ. მუზეუმის ს. ჯანაშიას სახ. საქართვ. მუზეუმში. 2. 1982 ზაგემის ნაქალაქარის მიდამოებში აღმოჩნდა განძი, რ-იც შეიცავდა 1921 ცალ ვერცხლის მონეტას. მათი უმეტესობა მოჭრილია შემახაში, 1 მონეტა – სეფიანი შაჰის ისმაილ I სახელით ჰიჯრის 928 (1521–22). ზოგიერთ მონეტაზე იკითხება თარიღები. ერთ-ერთ მონეტაზე იკითხება შაჰ-თამაზ I-ის სახელი. განძი დაფლული უნდა იყოს XVI ს. შუა ხანებში.

ლიტ.: ქ უ თ ე ლ ი ა თ., ზაგემში მოჭრილი მონეტები, {მაცნე}. ისტ., არქეოლ., ეთნოგრ. და ხელოვნ. ისტორიის სერია, 1972, №4; მ ი ს ი ვ ე , Грузия и сефевидский Иран, Тб., 1979.

თ. ქუთელია